

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი ღ ა მ ა ტ ე ბ ა

გაზეთის № 848

დამაცემის № 149

პირა, 17 მარტი 1913 წ.

სახელმწიფო განცხადი

ანონსი სიკვდილის

26.**)

პირად მისწრაფების ფარგალიც გაფართოვდა ებ-ლა ელისბარისთვის: მარტო თავის თავი ხომ არ ებარა, ცოლის პატრონი იყო, რომელსაც უკვე ოქროს ქოჩიანი ვაჟი ეპურა ხელთ, მემკვიდრე და იმედი მისი გვარისა. საჭირო იყო შათზე ზრუნვა. ესენი მის პიროვნობის გარეშე იდგნენ, გარნა მის საკუთარ არსებაზე უტკბილესი იყვნენ, რადგან მისი საკუთარის არსების საუკეთესო და სათუთ განგრძობას შეადგენდნენ. მათის ცხოვრების უკეთ მოსაწყობად, მათ უზრუნველსაყოფელი ებლა მეტი შრომა ეჭირვებოდა ვაჟკაცს და იმანაც უფრო მეტი უურადლება მიაქცია მამულის აზრიანად შემუშავებას. მარტივი იყო მისი გეგმა: ერიდებოდა ძნელ საქმეს, რომლის ატანას ვერ შესძლებდა მამული; მიწას თავისი თავი თითონვე უნდა გაეუმჯობესებინა და სარგებლობაც მოეტანა პატრონისთვის. ელისბარისთვის არ იყო ესეთი საქმე ძნელი: მამულის გაუმჯობესობა თუ შემოსავლის ახალ-ახალი წყაროების აღმოჩენა ეხერხებოდა მას, რადგან შესწევდა საამისო ცოდნა; იცოდა განათლებულ ქვეყნებში რა საშუალებასა ხმარობდნენ ამისთვის. ისიც ესმოდა, რომ ჩვენებურ ნიადაგს თუ ჰავას ვერ შეეთვისებოდა პირდაპირ სხვა ქვეყნიდან გადმოტანილი წესი მეურნეობისა თუ წარმოება და ცდილობდა ნაჩვევანაც ნიადაგზე ემყნო მეცნიერებისაგან დასკვნილი თუ სხვა ქვეყნებში მიღებული ხერხი შემუშავებისა. ბევრი რამ ახალი შემოილო, ბევრი ახალი მცენარე აგვარა, ბევრი ძველი გააუმჯობესა და რადგან მის მამულის ნაყოფს ცხადად დაეტყო უკეთესობა, ბაზარის მოპოვებაც გაუადვილდა მას. ელისბარის დაკვირვებითმა ნიჭმა ფართედ გაშალა აქ ფრთები და მან ბევრი ახალი დარგი წარმოებისა შეიტანა თვის მამულში. მართალია, მღიდარი იყო ელისბარ და მამულის შესამუშავებლად თანხის სხვაგან ძებნა არა სკირდებოდა, მაგრამ ბოლოს ისე დაწყო საქმე, რომ გარეშე ფული აღარც საჭირო იყო და შემოსავალი მთლად უძლვებოდა საქმეს.

თანდათან უფრო შეუყვარდა ელისბარს თავისი მიწა-წყალი. რაც უფრო მეტი ამაგი დასდო მან თავის მამულს, იმდენად უფრო დაუახლოვდა მას, გაიცნო .და დაუკავშირდა. მამულმაც მეტი ნდობით გაღუსხნა მას გულ-მკერდი და მეტი იმედი მისცა თავის ერთგულ პატრონს. ერთი-ორად გამხნევდა ვაჟკაცი: სამაგალითო გხადა თავის მამული, თითოთ საჩვენებელი. დაამტკიცა, რომ ჯერ არ მომკედარა ის ქართველი, რომელიც უხსოვარ დროშივე განთქმული იყო თავის მიწისად-მი სიყვარულით, მის აზრიანად მოვლით. და ეს მრომა თუ ზრუნვა სრულებითაცარი იყო მისი მტანჯველ-მომღვარ-სლელი თუ დამაბეჩავებელი, როგორც აბეჩავები აღმიანი იძულურ ლუკმისათვის უზომო ჯაფა, როდესაც აღმიანი იძუ-



დაკარგული ბედნიერება.— ნახატი ებერინისა.

ლებულია პლვაროს ოფლი, ხოლო ნაყოფი შრომისა სხვისაა და მას ერგება მხოლოდ ლუქმა რიმე განხმელი, რომ არ განილიოს შიმშილით და კვალად შესძლოს შრომა სხვისათვის. შრომა მონური, უდიერი! ელისბარი კი მონა არ იყო ცხოვრების სიმძიმისაან ძალატანებული და მოწურული, იგი იყო თავისუფალი, შრომის ნაყოფის ბატონ-პატრონი და მომხმა-

რებელი. ამ მშრომელისთვის დედამიწა ეკალს კი არ აღმოაცენებდა უხმარს, არამედ იფერეს წმიდას, მასაზრდოებელს. მისი შრომა არ იყო შედეგი წყვისა, ოვთის რისხვისაგან დადგმული მასზე უდელი მძიმე, იგი შრომა იყო ნებითი, ზომიერი, მომცემი კეთილისა და წამხალისებელი. ელისბარ უვლიდა და ამშვენივრებდა ბედისაგან მისთვის მიცემულს ედემს და არა მხოლოდ შეიკრიფავდა ნაყოფს უხს, არამედ ავარჯიშებდა კიდევ თვის ძალებს ხორციელს თუ სულიერს, განიმსკვალებოდა ბუნებისადმი სიყვარულით და შეიგნებდა, რა სათაყვანებელი იყო წიაღი იგი მიწისა და ტკბილი.

ბედი ელისბარისა, რომ მისი მამულის შემოსავალი არ ინთქმებოდა მის მეუღლის ხელში, არც იფანტებოდა. ხელმოკლეობა გამოვლილმა ქალმა იციდა ფასი ქონებისა. იგი დამშეულივით კი არ ეცა სიმდიდრეს, რადგან ნატრული არ იყო, არც დამშეული; დოვლათი რა ნახა, ცხრა მთა კი არ გადალახა, როგორც უნახავმა, რომ იქ, მთებს იქით, განებნია ოქრო და გაეკვირვებინა თავის მსუბუქობით შინაური. თუ გარეული, არამედ აზრიანად შეხვდა ქონებას: სიძუნწე უარჩყო, ნაკლულოვანებათა დათმენა უკუაგდო, როგორც აწ უხმარი და უადგილო, გარნა თვის მოთხოვნილებას სამზღვარი დაუდვა, თვისი სურვილები შეახერა იმ მზღვარზე, რომლის იქით იწყება უაზრო ჟინიანობა და მედიდურება, როდესაც აზამიანი თავისთვის კი აღარა სცხოვრობს, არამედ მისთვის, რომ მიახედოს სხვა თავის კმაყოფილებაზე, წაემაზოს მას თავმომწონებაში, შერი აღმართ უცხოში თუ მეცნიერში და მოვარაყებულ ბკყვრიალებით მოსკრას და დაუყენოს თვალი გარეთ თვის მტერს თუ მოშურნეს, შიგნით თვის პატრონს. ამისთანა ფრთა-სუბუქ მისწრაფებას ბევრი სავსებით-სავსე ოჯახი შეეტყვია, დაუცია, წარმოუცალიერებია. ლიზიკოს გარედან ნაშენ ბარაქალაზე არ ეჭირა თვალ-ყური, იგი შინვე ჰპოვებდა სრულ კმაყოფილებას, ოჯახის კეთილდღეობაში და ქმარ-შვილის სიყვარულში.

შეითვისა ქალმა ქმრის ოჯახი, გვერდში ამოუდგა თავის დედამთილს, როგორც მოსწრებული ქალი მისი და უყველ-სავე საოჯახო საქმეში მხარდამხარ მისდევდა მას. ეს მით უფრო ადვილი იყო უკვე ოჯახის მოვლას ნაჩვევ ქალისათვის, რომ მას სრულებითაც არა სჭირდებოდა მძიმე რამ და უხამსი საქმის კეთება: გარს მსახურ-მოახლე ეხვია და საჭირო იყო მხოლოდ სარისტის მიცემა, რომ ყოველივე წესზე უყოფილიყო და თვალის დევნება, რომ არ გაეტან-გაეჩანაგებინათ მონაგარი და არ გაეძარცვათ ოჯახი. არავის არა სჩაგრავდნენ ქალები, არც ნაწვავ-ნადაგს უკერდნენ ვისმე, უფრო ხელგაშლით აჯილდოვებდნენ მშრომელ მარჯვენას და პატივსა სცემდნენ ყველას, მაგრამ მათთან საქმის დამჭერი მალე გრძნობდა, რომ მოტყუებ-მოცულებით ან ნამალევად იქიდან ვერას გაიტანდა, თვალმიერ დიასახლისებს ვერას მოაპარებდა. ლიზიკოს დედამთილმა ისე იციდა ყოველივე სოფლური თუ ქალაქური საქმე, რომ სწორედ ოსტატად გამოდგებოდა მათთვის, ვინც გარს ეხვევოდა მას. მიხვედრილმა რძალმა მალე შეითვისა ყველაფერი და ამით დიდი პატივცემა დაიმსახურა შინაურისა თუ გარეულისა. მით უფრო ხათრიანად ეყრდნობდნენ რძალ-დედამთილს ყველანი, რომ გაჭირვებაში ვერც ერთი ქალატონი ვერ დეედრებოდა მათ გულშემატკიცირობით; სწორედ გაჭირვების ტალ-კვესი იყვნენ, ტვირთმმდევთა ხელის ამპყრობელნი. ამ თხ წელიწადს ისე შეეთვისა ქალი ქმრის ოჯახს თუ დედამთილს, რომ იგი ოჯახი თვის ტკბილ ოჯახად მიაჩნდა, დედის დროს რომ ახსოვდა იმ კერად, ხოლო დედამთილი ნამდვილ თვის დედად, პატარობითვე რომ დაპკარგა მან და აწ კვლავ ჰპოვა უვნებელ-უტკივარი, მოსიყვარულებას.

ცხოვრება უალერსებდა ელისბარს და გული იმისთვის უმდეროდა სვინს. თავის საყვარელ საქმეს ედგა სასარგებლოს, მზრანებელი არავინა ჰყვანდა, თავის მოქმედების პატრონიც თითონ იყო, პატრონიც. რომ დადიოდა ის თავის მამულში და აწარმოებდა თუ ჰელმძღვანელობდა მის შემუშავებას ან დაცვას, თან მისი მოყვარული, მისგან შეყვარებული ოჯახის სურათი დადევდა და ამხნევებდა; იგი სურათი კმა-

უფოლებისაგან შეთხზილ ჩარჩოში იჯდა და უდარდელად ულიმოდა მუშაკს. იციდა სახლიდან გამოსულმა გაუკაცმა, რომ შინ დატვებული ცოლ-შვილი უყველმხრივ უზრუნველყოფილია, გაჭირვებას თუ ნაკლებობის არ განიცდის და არ შევიწროვდება, არც შეწოხდება. იციდა მან ისიც, რომ შრომაში გატარებულ დღის მიმწერს თბილი, ნათელი და წყნარი ბინა დახვდებოდა მას, რომელიც სიყვარულით მიიღებდა დამაშვრალს და ჩაიხვე-ჩაიკრავდა მას განსავენებლად. გაუკაცს მიუხარიდა შინ: ქალმა დაუხვია მას გული და გაუმზადა სიხარული სულისა თუ ხორცისა.

დიდი საქმეა ოჯახისთვის, როცა ვაჟკაცს მიუხარიან სახლში და ესწრაფის მოლიმარე სახის შეხვედრას, ხოლო ლელვა დამნთქმელი სახლისა თუ ლიმილის წილ ბოროტს მიელის იქ დაღრეჯილს, ალერსის წილ უარყოფას, მაღლიერ კმაყოფილების წილ უმაღლერბას გადარეულს, დრტვინვეს შეუწყნარებელს, უის უაზროს, ცრემლს მღვრიეს, ვესლიანს. ამისთანა უაზრო სიბოროტე ხომ შეიძლება დახვდეს კაცს თვით ფოლათით სამსე ოჯახშიც, რადგან აღამიანის გული კრულია, ხარბი, უძლომი, ხოლო მისი სურვილები უსამზღვრო, დაუსრულებელი. არც იმისი ეშინოდა ვაჟკაცს, რომ მისი რამ ნაკლი, უხერხული ქცევა თუ მოუწყობელი თქმა ააღლევებს და გამწარებს ქალს, შეარევეს მათს წყნარ და ნათელ ყოფნას: მისი მეუღლე აზიზი რომ იყო, მომთმინოც იყო და ამტანი, იციდა აღამიან კოვლად სრული არსება არ არის, თასნაირი ნაკლი სდევს ნებსითი თუ უნებლივი და აქაც, როგორც ყველგან მეგობრობაში, სიყვარულის საბურველმა უნდა დაპტაროს სიშიშვლე უხამსი და დუბკირი. ძნელია, თუ დასახლის არ შესწევს ზე მიმტებელ-შემწყნარებელი, თუ ხელთ არ უყრია მოყვასთა ნაკლის დამბურველი რამ არდაგი. თუ ამისთანა სული ბოროტი დაბინავდა კრირაზე, განდევნის იგი ვაჟკაცს სახლიდან და მიაქცევს მას იქით, სადა იგი არა არა ურვა, არც სულითქმა, არც თუ დალრეჯილობა, არამედ სიყვარულ-სიხარული დამათრობელი, ცხოვრების სიავის წუთიერად დამაქრობელი.

ლიზიკოს კი ბუნებით რბილი ხასიათი ჰქონდა, სათნო, შეგრალებელი; თანაც ხომ შეყვარებული ქალი იყო იგი, ქორწინების შემდეგაც საყვარლად დამრჩალი, და აბა როგორ გამწარებდა, თუნდაც შემთხვევათ, თავის ვაჟკაცს სასურველს, ან რად? ამისთვის იყო, რომ ელისბარს ყოველთვის მიუხარიოდა სახლში, რომ ცოლ-ქარი მარად სიხარულით მიელოდნენ ქამს, როცა იგინი გამარტოებულ-განცალკევებულნი შეხვდებოდნენ ერთმანეთს საკუთრად მათთვის მიწევებულოთახებში და ტკებოლდნენ ერთმანეთის ახლო ყოფნით, საუბრით, სუნთქვით, შეხებით.

აქვე, ამ ვანცალკევებულ კუთხეში, მუშაობდა ელისბარ თვის საყვარელ სამეცნიერო საქმეს: კითხულობდა საუკეთესო გამოკვლევებს, რომ შეეგსო თვისი ცოდნა, სწერდა თვის შენიშვნებს სამეცნიერო თუ სამოქმედო კითხების შესახებ, ან აღნიშნავდა თვის გამოცდილებას და დაკვირვებას. ამ გონებითი ვარჯიშობაც ხელს უწყობდა მას გარემოება: მშვინივრად მოწყობილი სამუშავო თახა სახლით და ქალაქში, ყოველივე სასურველი წიგნი თუ გამოცემა, იარაღი თუ ხელსაწყო, დაშვიდებულ-დაწყნარებულ გონებას, თავისი სუფალი დრო, დამტებარი გრძნობა. ეხლა უფრო ხვავიანად მუშაობდა ელისბარი ამ დარღუში შრომისა, რადგან თვის ახლო გრძნობდა საკუთრად მათთვის მიწევებულოთახებში და ტკებოლდნენ ერთმანეთის ახლო ყოფნით, საუბრით, სუნთქვით, შეხებით.

აქვე, ამ ვანცალკევებულ კუთხეში, მუშაობდა ელისბარ თვის საყვარელ სამეცნიერო საქმეს: კითხულობდა საუკეთესო გამოკვლევებს, რომ შეეგსო თვისი ცოდნა, სწერდა თვის შენიშვნებს სამეცნიერო თუ სამოქმედო კითხების შესახებ, ან აღნიშნავდა თვის გამოცდილებას და დაკვირვებას. ამ გონებითი ვარჯიშობაც ხელს უწყობდა მას გარემოება: მშვინივრად მოწყობილი სამუშავო თახა სახლით და ქალაქში, ყოველივე სასურველი წიგნი თუ გამოცემა, იარაღი თუ ხელსაწყო, დაშვიდებულ-დაწყნარებულ გონებას, თავისი სუფალი დრო, დამტებარი გრძნობა. ეხლა უფრო ხვავიანად მუშაობდა ელისბარი ამ დარღუში შრომისა, რადგან თვის ახლო გრძნობდა საკუთრად მათთვის მიწევებულოთახებში და ტკებოლდნენ ერთმანეთის ახლო ყოფნით, საუბრით, სუნთქვით, შეხებით.

ამ დროს იყო, ელისბარი რომ მოათავსა ჩვენს უზრნალებელთა გრძნობებში ისტორიული ცნობები ქართველთა მეურნეობის შესახებ და ამდენიმე შესამჩნევი დაკვირვება თუ შენიშვნა სამეცნიერო ხსიათისა. აკა საზოგადოებრივი მისამარცხებულების მის აზრიან და გამოცდილებისავან ნაკარნახებ ნაწერებს. ამან ძალიან ასიამოვნა ვაჟკაცი და დაწახალისა.

იგი წყნარი ცხოვრება ბედნიერი ცოლ-ქარისა არ იყო და ვერც იქნებოდა მთლად დაუჩრდილავ-შეურევეველი, ყოველ უამს თანაბრად ბედნიერი; აქაც მოპერაცია ეკვითი-

ფამაც სუსხიანი ქარი ქვეყნის სიავისა თუ დაუდგრომლობისა, გარნა ეს მსუსხავი ნიავ-ქარი გარეგანი იყო, მათ ორთა პი-როვნობათა გარეშე არსებულის სიავისაგან მონაბერი და ცოლ-ქმარი ებრძოდა ამგვარ სიღუჩქირეს მწყობრად, მხარ-და მხარ, განუყრელ-განუყოფელად, და ასუსტებდნენ იგინი ბოროტის სიმწარეს, უკრაქცევლენ მის ძალას მავნებელს.



კონსტანტინე
საბერძნეთის ახალი მეფე.

28.

— იცი, გენაცვალე, თუ ჩემი განზრახვა შემისრულდა, მაშინ კი სწორედ ბეჭნიერი ადამიანი ვიქნები და ვიტყვი, რომ ამათ არ განვლე გზა ცხოვრებისა.

— რომელი განზრახვა? ათასი ოცნებითა ხარ გატაცებული, ათას ფერად აზრს შესტრიალებ და შეჭხარი.

— ორად-ორი ფერადი ოცნება კი იყო, რომელსაც მე შევტროდი და შევხარი: ერთი ცისარტყელის ნაწყვეტივით შევენიერი და მანუგე შებელი აგრე ჩემს გვერდზე ზიხარ, და ეს მაძლევს იმედს, რომ მეორე ჩემი ოცნებაც ხორცს შეი-სხამს და განხორციელდება ჩემს ცხოვრებაში.

— მაინც რომელი?

— რომ ჩემი ზრუნვა პირად კეთილდღეობაზე შეუერთდება და შეექვსის საზოგადო სამსახურს, სამშობლოს კეთილ-დღეობაზე ზრუნვას და ხელს შეუწყობს მის განახლებას თუ აღდგენას.

— კიდევაც გიოქვამს ეგ შენი სურვილი და დაგიხატ-ნია ეგ მისწრაფება, მაგრამ ეგი თუ ორი ლტოლვილება, პირა-დი და საზოგადო, შეუკავშირებელი გამოდგნენ და ერთმანე-თის უარმყოფელი. იქნება ყველგან და ყოველთვის საჭირო იყოს პირადი მისწრაფება შეეწიროს საზოგადოს, ხოლო მა-მული შვილის კეთილდღეობა სამშობლოს კეთილდღეობას.


— იმისათვის ვიმეორებ, რომ არ იქნა და ვერ დაგარწმუნე. მომისმინე! სადაც კერძო პიროვნობა მრავალთა უზრუნ-ველყოფილია, იქ საზოგადოებაც უზრუნველყოფილია და ბერდიერი; სადაც მეკომურთა სიმრავლე არ განიცდის ნივთი-ერ ნაკლულოვანებას, იქ მხარეც კეთილდღეობაშია, რადგან როგორც ხალხი შესდგება მექომურთავან, ისე ხალხის ბერდი-ერება წარმომდინარებს მოსახლეთა ბერდიერებისაგან. კერ-ძო დოვლათი შემაღენელი ნაწილია საზოგადო სიმდიდრისა, ოლონდ კი იგი კერძო ქონება პატიოსანი შრომით იყოს მო-პოვებული, ისეთი ხერხით, რომელსაც ვნება არ მოაქვს არც კერძო კაცისათვის, არც საზოგადოებისათვის. მართლა და თუ შენ თავზე ვერ გიზრუნვია პატიოსანად, როგორდა მო-ხერხებ იზრუნო მოყვასზე ან მთელ ხალხზე, რომელიც არის კრებული მოყვასთა?

— ხშირად რომ კერძო კეთილდღეობისადმი მისწრაფება ძირს უთხრის და არყევს საზოგადო საქმეს?

— ეგ მაშინ, გენაცვალე, როცა კერძო მისწრაფება არ არის საზოგადო საქმესთან შეთანხმებული. გავსინჯოთ! მიყ-ვარს ჩემი საკუთარი მამული, ჩემი მიწა-წყალი და უკანასკნელ ამსაურთქამდინ ვეცდები არ მოვცილდე მას, ხელიდან არ გა-მომეცალოს იგი. რომ ვეწიო ამ სურვილს, უნდა გავაუმჯო-

ბესო მეურნეობა ჩემს მიწა-წყალში, საუკეთესოდ შევამუშაო მამული, ვადინო იქ ნაკადები შემოსავლისა. ეს ჩემი პირადი მისწრაფება და აბა აქ რა არის მავნე საზოგადოებისათვის თუ ხალხისათვის?! ყველას რომ ესე უყვარდეს თავის მამული, ყველა რომ ესე უყურებდეს თავის მიწა-წყალს, ყველა რომ ესე ცილილბდეს მამულის გაუმჯობესობაზე, მაშინ ხომ ჩვენი სამშობლო აღარ გაიყიდოდა სხვაზე, არამედ ალყავდებოდა და გადიფურჩენებოდა თვალთწარმტაც წალკოტად. ვისწრაფი ხელსაყრელი გზები გამოუნახო მიწისაგან მოცემულს ღალას, რომ ბზის ფასად არ გაპქონდეს იგი სხვას, და ყველა მემამუ-ლე რომ ამაზე ზრუნავდეს აზრიანად, მაშინ ხომ ჩვენი მამულ-დებული და მთელი სამშობლოც მეწველ ფურად ვეღარ გარ-დიქცეოდა შემოსეულთათვის. თუ ყველა მემამულე ესე მო-აწყობს თავის მიწა-წყალს, მაშინ მთელი საქართველო მოი-ფინება გონივრულად შემუშავებულ სამკვიდროებით ქარ-თველთა და ჩვენი ქვეყანა იმ ადგილს დაიტერს სიმდიდრით თუ მეურნეობის განვითარებით, როგორი ადგილიც ეჭირა რდესმე ხალხთა შორის და როგორიც ეკუთვნის მას. ესეთი ჩემი მისწრაფების განხორციელება ხომ ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისკენ გადაღმული. ვიცი რომ ეს ყო-ველივე ვერ მოხდება უეცრად, მაგრამ დიდ საქმეში ხომ სის-წრაფეც არ შეიძლება. ქართველთა კეთილდღეობა ნელ-ნელა დაეშვა ძირს და ნელ-ნელავე უნდა ამაღლდეს იგი, თანის-თანის ძირით. ესეც მოხდება! ვერდავ სიმშობლოს ალყავდებულს და სანეტარო წალკოტად გადაფურჩენილ-გადაშლილს, ხო-ლო შიგ ქართველთა ერს კმაყოფილს, პატიოსაცემს და პა-ტივცემულს!

— მაშინ ის რაღა არის, რომ საზოგადო საქმე მსხვერპლად ითხოვს კერძო საქმესაც, კერძო პიროვნობასაც?



პ. 60 სტაროსელსცი.

ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფი, ეხლა პარიზში ფოტოგრაფობს.

— თუ საზოგადო შიზანი გექნება და შენს კერძო მის-წრაფებას შეუთანხმებ ხალხის სიკეთეს, ესეც მსხვერპლი შე-ნის მხრივ, რაღაც ამ გზაზე ბევრჯელ დაგჭირდება შენ ვნე-ბათა თუ სურვილთა შეზღუდვა და უარყოფა. ხოლო როცა საზოგადოება თუ სამშობლო მოითხოვს მეტ მსხვერპლს, მა-შინ შესწირავ მას შენს ქონებასაც, ჯან-ლონენსაც, თვით შენს სიცოცხლესაც, რაღაც გიყვაროს იგი, ხოლო საყვარელ ასე-ბისთვის სიცოცხლესაც არვინ დაიშურებს. ეს საზოგადო კა-

ნონია: თვის მოდგმას და თვის ბინას ყველა სულდგმული იცავს თავგანწირვით.

— ზოგიერთს რომ პირადი სარგებლობა სრულებითაც ვერ შეუგნია, ვერც შეუთვისებია და დაუზოგველად, ხელადებით მტლად ედება საზოგადოებას თუ სამშობლოს. ქრისტემაც ხომ ეგრე გვამცნო:

— ისინი ზეკაცნი არიან, ჩემო მშვენიერო ქრისტიანო, მცირედნი რჩეულთაგანნი, ჩემი გეგმა კი ცხოვრებისა საზოგადოა, საშუალო ადამიანზე მოხაზულ-გამოქრიცი, ხალხის დიდ უმრავლესობისთვის ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებული. აქ არის საჭირო გეგმა თუ გზის მაჩვენებელი, თორემ ის ღვთის შეღლნი თუ ზეკაცნი მოქმედებენ ზეშთაგონებით, მათ ვერ იტევთ ვერც ერთი გეგმა ზოქმედებისა, ვერც ყალიბი ცხოვრებისა; ისინი სასწაულებრ ჰქმიან თავიანთ საკუთარს გეგმას ცხოვრებისა, ისინი მოქმედებენ დროისა და გარემოებათა გარეშე... მაგრამ ამ ჩემი გეგმის ასრულებასაც გული უნდა მთელი, გუნება დაწყნარებული და თუ ეხლა გულდინჯად ვებრძეი საბრძოლველს, ეს მისთვის, რომ ჩემმა ოცნებამ უკვე განხორციელებულმა ძალა შემძინა მოქმედებისა და ვტკბები მისი სიახლით, მიუგო ელისბარმა და დაუკაცნა კოლს მაჯები.

— მეც შევტრიფი ერთს ოცნებას, მაგრამ ჯერ ვერ გამიბედნია გითხრა, — უთხრა ბედნერმა ქალმა და მაციურად შეხედა ქმარს, — მეშინიან, იმ ოცნების განხორციელება მძიმე ტვირთად არ დაწვეს ჩევნს ოჯახს.

— რა ოცნება გაქვს ეგეთი, შენ თვითონ ოცნებავ ხორც-შესხმულო? — ჰკითხა ვაზკაცმა და გვერდს მოუჯდა ქალს.

— იცი რა? მაგრამ არა! მეც იმ მესაცრესავით არ მომივიდეს, ხელმწიფელ რომ დასვეს.

— რა მესაცრესავით?

— საცრების მკეთებელი ხელმწიფელ დასვეს. საბრძანებელის დათვალიერების დროს ტყე ნახა მშვენიერი და წარმოსთქვა აღტაცებით: „რა საკრალე ხებია!“ მეც ისე მომდის, ჩემს ხელობას არ ვიგიწყებ: მინდა ოდესმე სასწავლებელი გავმართო ამ ჩევნი სოფლის გოგო-ბიჭებისათვის, რომ ანბანი მინც ვასწავლო საწყლებს.

— გულთმისანი ხარ, საყავარელო, ჩემს აზრებსა ჰკითხულო! მეც ვოცნებობ მაგაზე და ველდები ეგ ოცნებაც უთუოდ განვახორციელო, — მიუგო ვაზკაცმა და მელავი მოხვია ქალს ნაქანდაკებ წელზე.

— აკი გითხარ, ათასი ქრელი ოცნება გიტრიალებს მეთქი თავში, — მიუგო ქალმა და შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი გაუსწორა ვაზკაცს.

29.

ბედნიერი იყო ეს ყოველ ქეთილით საესე კოლ-ქმარი. მათი ბედნიერება საესებით აესებდა მათ პიროვნობას და უტკბობდა ყოფას. მათი ბედნიერება თავს გადმოდიოდა და სუნნელ რამ ნელსაცხებლად ედებოდა მათ გინას, სახლს, მოელს მიდამოს. იგი მათი ბედნიერება ტკილა საყნოსელ-საგრძნობელი იყო და ნივთიერად ხელშესახები ყველისათვის, ვინც კი სცხოვრობდა მათთან თუ მათ გარემო და ვინც სასიკეთოდ მიეახლებოდა მათ. იმათი კარგი ცხოვრებით და დამათბობელ-მანათობელ პიროვნობით მხიარულ-ქმნილიყო მახლობელი თუ გარეშე, უცხო თუ შინაური. ის და იყო სანატრელი, რომ არ მოშლოდა ამ ოჯახს ყველისათვის სასარგებლო და საამო კეთილდღეობა, რომ არ დათხეულიყო ქვიშაზე იგი საესება მადლიანი და არ წამოცლილიყო.

ლიზიკოს მამასაც სიხარულად ედებოდა ამ ბედნიერების სიკეთე და იშვებდა გულით, იხარებდა. ზურაბი ეხლა არამც თუ მხოლოდ დაუნათესავდა ელისბარს და მის დედ-მამას, გულითადი მეგობარიც გახდა მათი, გულუბრყვილოდ მოყვარული. შემდეგში მთლადაც შეეთვისა ის მძახლებს თუ მოყვრებს და მათთან ერთად შესტრფოდა შვილების ნეტარებას და დოკლათს, რომლის სიუხვიდან მის ოჯახსაც მისდენოდა სიკეთე. უცხოად კი ვერ შეეთვისა ლიზიკოს მამა ბედის წყალებას. პირველში რომ უხაროდა თავისი ქალის ესეთ ბედში ჩავარდნა, თანაც სწუხდა, რომ ვერ ისტუმრებდა ქალს სიდის ოჯახის შესაფერ მზითვით და ეს უსიამოვნოდ ეხებოდა მის თავმოყვარეობას. მაინც თავი არ შეირცხვინა და ლირსეულად შემოს-შეამჭკ საძლოდ გამზადებული ქალი. პირველ ხანს ძა-

ლიან ეჩოთირებოდა ზურაბს, რომ მდიდარი სიძის თავგადმოვ-დენილ ოჯახიდან მცირედი პატივცემა მოსდიოდა, სოფლის რამ ნაწარმოები. ეს კაცი მთელი თავის სიცოცხლე საკუთარი მარჯვენით სცხოვრობდა, მის სახლში დანგის საფასიც არა შესულა-რა ისეთი, რაც კი არ ყოფილიყოს მისგან შრომით დამსახურებულ-დამუშავებული და ეხლა ველარ შესთვისებოდა იმ აზრს, რომ მისი შევილის ახალი ოჯახიდან მცირედი მოსაკითხი მოსდიოდა. აქამდის ყოველობის თითონ ებლია შემწევობა თავის ლარიბ ნათესავებისთვის და ველარ ეხერნებოდა უწევეს რამე შელაგათი მიელო თუნდაც საკუთარი შევილის ხელით. მძახალმა რამდენჯერმე შესთავაზა მას ქალაქში ბინა, გულწრფელებული სოხოვა მის სასახლეში აელო მოხერხებული თახები საცხოვრებლად, მაგრამ მთლაც უარყო ეს ლიზიკოს მამაში და შორის ახალი მოსახლე მამაში და შორის ასახულია: ვერ წარმოედინა, რომ ამისთანა პატივცემა მის მდიდარ მძახლისათვის დიდი რამ არ იყო და სამძიმო. იქნება სწორედ ესეთი ფაქტი ქცევა და ზნეობრივი სიფროთხილე იყო იმის მიზეზი, რომ ლიზიკოს ახალი ოჯახი დიდს პატივცა სცხომდა ამ კაცს. ისიც სათქმელია, რომ მხოლოდ ლიზიკოს მამა იყო მათ შორის განათლებით ელისბარის სწორი. ელისბარი მხოლოდ თავის სიმამრს უზიარებდა თავის მეცნიერეულ აზრებს, ოცნებებს, თუ მისწრაფებებს და გატაცებით ებასეგბოდა საძნელო კითხვებზე, რადგან ისიც სიძესავით მეცნიერების მოტრფიალე და მიმყოლი ადამიანი იყო, მასაც ელისბარივით ვერ იზიდავდა უაზრო დროს ტარება და ფუქსავატი ყოფნა. ახალ ნათესავებს თავიც მოსწონდა, როცა მათი მძახალი საპატიო ნიშნებით გულმკრდე შემცული ინახულებდა მათ დღესასწაულში ან სუფრას უმშვენებდა მეჯლიშში და სტუმრობაში. ბედნიერად მიღონდა ელისბარიანთვის დრო, კმაყოფილებაში. აგრე მეხუთე ზაფხული მიიღურა ლიზიკოს ჯვრის-წერის შემდეგ და სულ სიამოვნებაში გადიოდა დრო. მეტადორე სასიამოვნო იყო მათთვის ზაფხული, როდესაც უველანი თავს მოიყრიდნენ ელისბარიანთ მამულში. ამდროსვე იკრიბებოდა დაბაში მოაგარაკე ათასობით და მთელი სამი თვე იქაურობას ეიგინი გაჟერნდა. ელისბარიანთა ხომ ერთი განუწყვეტელი სიამოვნება იყო, დღესასწაული უხვი და გულსავსე ბუნების დიდებული და მშვენიერ კალთაზე. კმაყოფილი იყო ეს ორივე ოჯახი თავიანთ ბედ-ილბლისა, ხოლო მათის სიამის და კმაყოფილების თაგვული იყო დალოცვილი ლიზიკო, რომელიც ეხლა დედაკაცობაში ჩაგრძნილიყო, მთვარესავით გავსებულიყო, ბამბის ქულისავით გადაპყრილიყო, გაღალანებულიყო სასურველად. მის სპერაც და მიმზიდველ აგებულობას შარავანდელა მიზენებინდა მისი სიწყნარე, შეურყეველი გულკეთილობა და მოლიმარე თავაზიანობა. ისე მოსჩანდა კრებულში ძვირფასი ქალი, როგორც რამ ყვავილი საუცხოვო ნოყიერ ნიადაგზე ლადად გადაშლილი. თვილი ტკბებოდა მისი ხილვით და სული მისი სიხალვით და სიცოცხლის მისი სიახლოვით. ქალის სიტურფის და სათხოების ხმა მთელ იმ არეს მოპერებული და ამით სამართლიანად ამაყობდნენ ელისბარიც და მისი ოჯახიც.

ელისბარ გულდამშვიდებით უშესრდა წყნარად მანათობელ თავის ბედის გარსკვლას, ტკბებოდა მისი ნორჩი სიცოცხლით და უკვირდა, რადღა ესახებოდა მას თავისი მეუღლე იმ დაქლოლი და დღემოკლე ლერწმის სახით, მაშინ რომ ნახა ხევის პირას. რა იყო საერთო ამ სიცოცხლით საესე და ტურფად აყვავებულ ქალისა და იმ ნამზენე ლერწმის შორის, გარდა წყრწეტი ტანისა, ესე ნაზად რომ ირხევა წელში, როგორც ლერწმი ნიავზე. არაფერი, სრულებით არაფერი! მაგრამ, ღმერთო, ნეტა რად ეხატება იმ თავით ამ თავამდე იგი ლერწამი სახედ ლიზიკოსი?! ზურაბიც იმედიანად უშესრდა თავის ქალს. მას სრულებითაც აღარ აშინებდა იმ ავი სენის აჩრდილი, რომელმაც ისე უცროვოდ მოსტაცა მას მეუღლე, დედა ლიზიკოსი. არა, ამ ჯანსაღ და სიცოცხლით სავსე ქმნილებაში არ დაუსადგურია არც ნასახს იმ შეუმართებელის და სასტრიკი სენისა, ვერც დაისადგურებს იგი მუნ ვერასოდეს!

(შემდეგი იქნება)

გ. ბარნოვი.